გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*06 Mayıs / მაისი 2022*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 688.6 | 5015.3 | 10.4% | 20.6 % | 12.8 % |

## Japonyadan Resmi Heyeti

## საქართველოს იაპონიის ოფიციალური დელეგაცია ეწვია

Japonya Dışişleri Bakan Yardımcısı Honda Taro heyetin eşliğiyle Tiflis'i ziyaret etti. Misafirler Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili tarafından karşılandı. Yapılan toplantısının ana konusu, ticari - ekonomik ilişkilerin yanı sıra enerji, telekomünikasyon, ulaştırma ve transit alanlarında işbirliğinin derinleştirilmesiydi.



Toplantının sonunda Ekonomi Bakanı, pandemi sonrası ekonomik toparlanma sürecinde Japonya gibi büyük bir ekonomiye sahip bir ülkenin Gürcistan ile ilgilendiğinin çok önemli olduğunu vurguladı.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჰონდა ტარო თბილისს დელეგაციასთან ერთად ეწვია. მას საქართველოში ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი შეხვდა. გამართული შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხი სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები, ასევე ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის და სატრანზიტო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

შეხვედრის დასრულებისას ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ პანდემიის შემდეგ, ეკონომიკის აღდგენის პირობებში ისეთი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, როგორიც იაპონიაა, საქართველოთი ინტერესდება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

## Condor Airlines Gürcistan Pazarına Girdi

## „კონდორ ეარლაინსი“ საქართველოში შემოდის




Alman Havayolu şirketi “Condor Airlines” Gürcistan’a düzenli, direkt uçuşları başlattı. Havayolu şirketi, Tiflis-Frankfurt-Tiflis istikamette direkt uçuşları haftada iki kez gerçekleştirecek.

İlk uçuşla Tiflis’e 140 yakın yolcu ulaştı. Uçuştan dolayı, Tiflis Uluslararası Havaalanında resepsiyon düzenledi. Resepsiyona Gürcistan havalimanları birliği “TAV Georgia’nın” ve havayolu şirketinin temsilcileri katıldılar.

გერმანულმა ავიაკომპანიამ „კონდორ ეარლაინსმა“ საქართველოში რეგულარული პირდაპირი ფრენები დაიწყო. ავია კომპანია პირდაპირ ფრენებს ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტის მიმართულებით კვირაში ორი სიხშირით განახორციელებს.

ARKAS GEORGIA LLC · İŞBANK · KOÇ KABLO · LC WAIKIKI · EFES GEORGIA · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

პირველი რეისით თბილისში უკვე 140-მდე მგზავრი ჩამოფრინდა. რეისთან დაკავშირებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მიღება გაიმართა. მიღებას საქართველოს აეროპორტების გაერთიანების, ტავ ჯორჯიასა და ავიაკომპანიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

## Tiflis Havalimanı'nda Yeni Trafik Şeridi
## ახალი სამიმოსვლო ბილიკი თბილისის აეროპორტში



5 Mayıs tarihinde Tiflis Uluslararası Havalimanı'nda yeni trafik şeridinin resmi açılış töreni gerçeklştirdi. Açılış törene Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı, Bakan Yardımcısı, Gürcistan Gürcistan Hava Seyrüsefer Ajansı Başkanı, havacılık kurumların temsilcileri ve TAV Georgia'nın müdür katıldı.
Proje kapsamında 26 000 m2 alan üzerine yüksek mukavemetli üstyapı düzenlemesi yapılmıştır. Projenin gerçekleştirilmesi için TAV GEORGİA 2,5 milyon dolar yatırım yaptı. Çalışmalar sonucunda Tiflis Havalimanı'nın pist kapasitesi önemli ölçüde arttı, uçaklar için kalkış, iniş ve manevra süreleri azalttı. Ülkenin ana havalimanı daha fazla büyük boyutlu uçakları barındırabilecek.
5 მაისს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი სამიმოსვლო ბილიკი G (Golf) ოფიციალურად გაიხსნა. ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, მინისტრის მოადგილე, „საქაერონავიგაციის" დირექტორი, საავიაციო ხელისუფლების წარმომადგენლები და ტავ ჯორჯიას ხელმძღვანელობა ესწრებოდა.
აღნიშნული პროექტი მოიცავდა მაღალი სიმტკიცის ხელოვნური საფარის მოწყობას 26 000 კვ.მ ფართობზე, რომელშიც TAV Georgia-მ 2,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გამტარუნარიანობა, შემცირდა საჰაერო ხომალდების მიერ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის დაკავების და მანევრირების დრო. ქვეყნის მთავარი აეროპორტი დიდი ზომის უფრო მეტი საჰაერო ხომალდის მიღებას შეძლებს.



## Gürcistan'ı En Çok Ziyaret Eden Ülke Vatandaşları
## ქვეყნები საიდანაც საქართველოს ყველაზე მეტი ვიზიტორი ეწვია

Nisan 2022'de Gürcistan'a 244 293 uluslararası ziyaretçi gelmiştir. Bundan turist ziyaretçinin sayısı 182 381 oldu. Ziyaret sayasına göre, ilk 10 ülke aşağıdaki gibidir:

მიმდინარე წლის აპრილში, საქართველოში 244 293 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. აქედან ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 182 381 იყო. ვიზიტების მიხედვით, ტოპ-10 ქვეყანა ასე გამოიყურება:




1. Türkiye / თურქეთი - 35 959
2. Rusya / რუსეთი - 33 556
3. Ermenistan / სომხეთი - 32 228
4. Gürcistan / საქართველო (mukim olmayan / არარეზიდენტი) – 20 936
5. İsrail / ისრაელი - 15 709
6. Ukrayna / უკრაინა - 13 018
7. Azerbaycan / აზერბაიჯანი - 11 360
8. Beyaz Rusya / ბელარუსი - 7 507
9. Kazakistan / ყაზახეთი - 6 032
10. İran / ირანი - 5 994

## Petrol Fiyatları Yükselmeye Devam Ediyor
## მსოფლიოში ნავთობი ისევ ძვირდება

Dünya piyasalarında akaryakıt fiyatları yükselmeye devam ediyor. Birkaç gün önce Brent ve WTI tip yakıtın fiyatı 100 doların altında olmasına rağmen Londra borsasındaki brent yakıtının fiyatı varil başına artık 111,4 doları aştı. Aynı zamanda, Amerikan ham petrolünün fiyatı da yükseliyor. WTI tip yakıt fiyatı ise 108,7 dolardır. Uzmanlara göre, dünyadaki akaryakıt fiyatlarındaki artış, Avrupa Birliği'nin Rus petrolüne ambargo koymasından kaynaklanıyor.



მსოფლიო ბაზრებზე საწვავის ფასი ისევ იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ Brent-ის, ასევე WTI-ის ტიპის საწვავის ფასი 100 დოლარზე ნაკლები იყო, ლონდონის ბირჟაზე ახლა უკვე Brent-ის ტიპის საწვავის ფასმა ბარელზე 111,4 დოლარს გადააჭარბა. ამასთან, იზრდება ფასი ამერიკულ ნედლ ნავთობზე. WTI-ის ტიპის საწვავი 108,7 დოლარი ღირს. ექსპერტების აზრით მსოფლიოში საწვავის გაძვირება ევროსაბჭოს მიერ რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესება განაპირობებს.

**Gürcistan'da Enflasyon**
**ინფლაცია საქართველოში**

Nisan 2022'de Gürcistan'da enflasyon %1.8 yıllık enflasyon oranı ise %12.8 olarak teşkil etmiştir.
2022 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 21.3% ↑
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 20.8% ↑
   - Sebze / ბოსტნეული - 46.2% ↑
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 28.8% ↑
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 18.0% ↑
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 19.3% ↓
   - Balık / თევზეული - 18.9% ↓
   - Meyveler/ხილი - 14.4% ↓
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 24.1% ↑
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 10.9% ↑
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 17.6% ↑
2. Ulaşım / ტრანსპორტი - 22.4 % ↓
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 9.4% ↑




Activate Windows
Go to Settings to activate

### Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

**GEL/USD** – 3.0398 **TRY/GEL** – 0.2045 **EOR/GEL** – 3.2198 **GBP/GEL** – 3.8149

**USD/GEL**
30 - 06 Mayıs 2022




**USD/TR**
30 - 06 Mayıs 2022




**TRY/GEL**
30 - 06 Mayıs 2022




**BTC – 36 395. 88**
30 - 06 Mayıs 2022




ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası